

სამეცნიერო გრანტით შეძენილი აპარატურა

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის მართვის სისტემების დეპარტამენტი შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფინანსირებითა და სტუ-ს თანადაფინანსებით აღიჭურვა 18 000 ლარის ღირებულების თანამედროვე პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერებით, არდუინოს პროგრამულ-აპარატული ტექნიკითა და ელექტრონული სქემების ტესტირებისა და გაწყობის საშუალებებით.

- კონტროლერები წარმოდგენილია მოდელებით: Siemens - S7 1500, Siemens - S7 1200, Allen-Bredley -Micro 800, AutomationDirect - DirectLOGIC DL205, VIPA // PLC - 800-7DK11 312S, Schneider Electric - Twido Compact TWDLCDA24DRF.
- არდუინოს აპარატულ-პროგრამული საშუალებები წარმოდგენილია ნაკრებით Arduino Uno Starter kits. (შეძენილია 6 ერთეული).
- ელექტრონული სქემების ტესტირება-გაწყობის საშუალებები - Function/Arbitrary Waveform Generator Hantek 1025G და MixedSignal Oscilloscope PicoScope 2205 MSO.



აღნიშნული აპარატურის გამოყენებით მართვის სისტემების დეპარტამენტში დამონტაჟდა ექვსი სამუშაო მაგიდა, სადაც შესაძლებელია ერთდროულად 12, პრაქტიკულად ყველა საგანმანათლებლო საფეხურის, სტუდენტის ლაბორატორიული სამუშაოების წარმოება ავტომატიკის, ელექტრონიკის, რობოტოტექნიკის, მექატრონიკის მიმართულებებით. მისი გამოყენება შეიძლება, აგრეთვე, პროტოტიპირებასა და საგამომგონებლო საქმიანობაში. აპარატურა სტუდენტებს უზრუნველყოფს ლაბორატორიული სამუშაოებით თანამედროვე, ტოტალურად ინტეგრირებული ავტომატიზაციის სისტემების შესწავლის, მათი დაპროგრამირების, დიაგნოსტიკისა და საექსპლუატაციო მომსახურების საქმიანობაში. აპარატურის გამოყენება დახმარებას გაუწევს აგრეთვე დამწყებ ელექტრონიკოსებსა და რადიომოყვარულებს ელექტრონიკისა და დაპროგრამირების საფუძვლების სწავლებაში.

